საქართველოს პარლამენტი

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ივლისის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
აგვისტო

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 14,561.6 მლნ ლარი	81.4% 9 თვის გეგმის	59.3% წლიური გეგმის
გადასახდელები - 14,336.7 მლნ ლარი	78.2% 9 თვის გეგმის	57.3% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 224.8 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,285.2 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -754.2 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2024 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება 14,561.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 59.3%-ს და 9 თვის გეგმის[1] (17,880.5 მლნ ლარი) 81.4%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,763.7 მლნ ლარით (13.8%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2024 წლის 7 თვეში **გადასახდელების** შესრულება 14,336.7 მლნ ლარს, წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 57.3%-ს და 9 თვის გეგმის (18,336.1 მლნ ლარი) 78.2%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 7 თვის მაჩვენებელს 2,261.9 მლნ ლარით (18.7%-ით) აჭარბებს (ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტების შესრულებას რაც შეეხება, 9 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლები (82.1%) და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები (74.7%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები შედარებით მაღალი შესრულების მაჩვენებლებით გამოირჩევა და 9 თვის გეგმის, შესაბამისად, 89.5%-ს და 90.9%-ს შეადგენს.

გადასახდელების კომპონენტების შესრულებასთან დაკავშირებით, 9 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს ხარჯებისა (78.6%) და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტებს (78.8%). შედარებით მაღალი შესრულებით გამოირჩევა ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი (89.4%), ხოლო ვალდებულებების კლების კომპონენტი შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (69.3%).





[1] 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,577.3 მლნ ლარს გაუტოლდა. 7 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 224.8 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 აგვისტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,802.2 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 7 თვეში 1,285.2 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -754.2 მლნ ლარი შეადგინა.





გადასახადების შესრულებამ იანვარ-ივლისში 11,528.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 82.0%-ს და წლიური გეგმის 60.3%-ს შეადგენს. 9 თვის გეგმის მიმართ ყველა სახის გადასახადი შესრულების კარგი დონით ხასიათდება (თუმცა მოგების გადასახადი გამოირჩევა 93.5%-იანი მაღალი შესრულებით) და 73.5%-93.5%-ის ფარგლებში მერყეობს (რაც შეეხება სხვა გადასახადს, 9 თვეში დაიგეგმა -43.0 მლნ ლარი, ფაქტობრივად კი -117.2 მლნ ლარს შეადგენს). 2023 წელთან შედარებით გადასახადები გაზრდილია 2,018.1 მლნ ლარით (21.2%-ით), ძირითადად, დღგ-ის, საშემოსავლო და მოგებისა გადასახადების, შესაბამისად, 12.7%-იანი, 17.4%-იანი და 57.6%-იანი მატების გავლენით.

ხარჯების შესრულებამ 7 თვეში 11,347.3 მლნ ლარი შეადგინა, 9 თვის გეგმის 78.6% და წლიური გეგმის 59.3%. 9 თვის გეგმასთან მიმართებით, შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვს პროცენტის (81.9%), სუბსიდიებისა (80.4%) და სხვა ხარჯების (80.3%) მუხლებს. კარგი შესრულებით ხასიათდება, აგრეთვე, სოციალური უზრუნველყოფის (79.7%), გრანტების (77.1%), შრომის ანაზღაურებისა (75.0%) და საქონლისა და მომსახურების (74.7%) მუხლები. წინა წელთან შედარებით ხარჯები 1,719.1 მლნ ლარით (17.9%-ით) გაზრდილია, ხარჯების ყველა მუხლის მატების გავლენით (მ.შ. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გაზრდილია 547.8 მლნ ლარით).





დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 7 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა*	2024 წლის 7 თვის შესრულება	შესრულების % 9 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	**12,797.9**	**24,569.5**	**17,880.5**	**14,561.6**	**81.4%**	**59.3%**
შემოსავლები	**10,686.4**	**20,731.0**	**15,377.6**	**12,632.4**	**82.1%**	**60.9%**
გადასახადები	9,510.8	19,115.0	14,062.1	11,528.9	82.0%	60.3%
საშემოსავლო გადასახადი	3,250.4	6,345.1	4,758.0	3,816.3	80.2%	60.1%
მოგების გადასახადი	1,289.5	2,690.0	2,174.0	2,032.9	93.5%	75.6%
დღგ	3,791.6	7,388.3	5,384.1	4,273.8	79.4%	57.8%
აქციზი	1,192.8	2,375.0	1,678.0	1,441.6	85.9%	60.7%
იმპორტის გადასახადი	88.5	150.0	111.0	81.6	73.5%	54.4%
სხვა გადასახადები	-102.1	166.6	-43.0	-117.2	272.6%	-70.4%
გრანტები	190.0	266.0	177.1	182.8	103.2%	68.7%
სხვა შემოსავლები	985.7	1,350.0	1,138.4	920.7	80.9%	68.2%
არაფინანსური აქტივების კლება	**70.8**	**200.0**	**111.0**	**99.4**	**89.5%**	**49.7%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**197.7**	**300.0**	**270.0**	**245.5**	**90.9%**	**81.8%**
ვალდებულებების ზრდა	**1,842.9**	**3,338.5**	**2,121.9**	**1,584.3**	**74.7%**	**47.5%**
საგარეო	993.9	1,838.5	1,064.9	984.9	92.5%	53.6%
საშინაო	849.1	1,500.0	1,057.0	599.3	56.7%	40.0%
გადასახდელები	**12,074.9**	**25,030.4**	**18,336.1**	**14,336.7**	**78.2%**	**57.3%**
ხარჯები	**9,628.2**	**19,120.9**	**14,441.7**	**11,347.3**	**78.6%**	**59.3%**
შრომის ანაზღაურება	1,209.3	2,577.3	1,915.6	1,436.3	75.0%	55.7%
საქონელი და მომსახურება	1,162.8	2,232.0	1,708.1	1,276.1	74.7%	57.2%
პროცენტი	778.1	1,540.0	1,238.6	1,013.9	81.9%	65.8%
სუბსიდიები	482.4	1,044.9	740.0	594.9	80.4%	56.9%
გრანტები	690.5	1,513.0	1,156.0	891.1	77.1%	58.9%
სოციალური უზრუნველყოფა	3,937.3	7,470.4	5,629.6	4,485.1	79.7%	60.0%
სხვა ხარჯები	1,367.8	2,743.2	2,053.8	1,649.8	80.3%	60.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,676.5**	**4,180.6**	**2,713.4**	**2,138.8**	**78.8%**	**51.2%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**144.5**	**305.6**	**158.6**	**141.9**	**89.4%**	**46.4%**
ვალდებულებების კლება	**625.7**	**1,423.4**	**1,022.4**	**708.8**	**69.3%**	**49.8%**
საგარეო	601.1	1,380.6	987.6	684.1	69.3%	49.6%
საშინაო	24.6	42.7	34.7	24.7	71.1%	57.8%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**723.0**	**-460.9**	**-455.6**	**224.8**		

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 7 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა	2024 წლის 7 თვის შესრულება	შესრულების % 9 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსავლები	**10,686.4**	**20,731.0**	**15,377.6**	**12,632.4**	**82.1%**	**60.9%**
გადასახადები	9,510.8	19,115.0	14,062.1	11,528.9	82.0%	60.3%
გრანტები	190.0	266.0	177.1	182.8	103.2%	68.7%
სხვა შემოსავლები	985.7	1,350.0	1,138.4	920.7	80.9%	68.2%
ხარჯები	**9,628.2**	**19,120.9**	**14,441.7**	**11,347.3**	**78.6%**	**59.3%**
შრომის ანაზღაურება	1,209.3	2,577.3	1,915.6	1,436.3	75.0%	55.7%
საქონელი და მომსახურება	1,162.8	2,232.0	1,708.1	1,276.1	74.7%	57.2%
პროცენტი	778.1	1,540.0	1,238.6	1,013.9	81.9%	65.8%
სუბსიდიები	482.4	1,044.9	740.0	594.9	80.4%	56.9%
გრანტები	690.5	1,513.0	1,156.0	891.1	77.1%	58.9%
სოციალური უზრუნველყოფა	3,937.3	7,470.4	5,629.6	4,485.1	79.7%	60.0%
სხვა ხარჯები	1,367.8	2,743.2	2,053.8	1,649.8	80.3%	60.1%
საოპერაციო სალდო	**1,058.3**	**1,610.1**	**935.9**	**1,285.2**	**137.3%**	**79.8%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**1,605.7**	**3,980.6**	**2,602.4**	**2,039.4**	**78.4%**	**51.2%**
ზრდა	1,676.5	4,180.6	2,713.4	2,138.8	78.8%	51.2%
კლება	70.8	200.0	111.0	99.4	89.5%	49.7%
მთლიანი სალდო	**-547.4**	**-2,370.5**	**-1,666.5**	**-754.2**	**45.3%**	**31.8%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**669.8**	**-455.4**	**-567.0**	**121.2**	**-21.4%**	**-26.6%**
ზრდა	**867.5**	**305.6**	**158.6**	**366.7**	**231.2%**	**120.0%**
ვალუტა და დეპოზიტები	723.0	0.0	0.0	224.8		
სესხები	143.4	305.6	158.6	140.7	88.7%	46.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.1	0.0	0.0	1.2		
კლება	**197.7**	**760.9**	**725.6**	**245.5**	**33.8%**	**32.3%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	455.6	0.0	0.0%	0.0%
სესხები	196.2	300.0	270.0	245.5	90.9%	81.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.5	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	**1,217.2**	**1,915.1**	**1,099.5**	**875.4**	**79.6%**	**45.7%**
ზრდა	**1,842.9**	**3,338.5**	**2,121.9**	**1,584.3**	**74.7%**	**47.5%**
საშინაო	849.1	1,500.0	1,057.0	599.3	56.7%	40.0%
საგარეო	993.9	1,838.5	1,064.9	984.9	92.5%	53.6%
კლება	**625.7**	**1,423.4**	**1,022.4**	**708.8**	**69.3%**	**49.8%**
საშინაო	24.6	42.7	34.7	24.7	71.1%	57.8%
საგარეო	601.1	1,380.6	987.6	684.1	69.3%	49.6%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		

საქართველოს პარლამენტი